

# პირველი ქალი დრამატურგი ბარბარე ჯორჯაძე

(1833-1895)

მაია კიკნაძე

ხელს უწყობდა მას კარგი განათლების მიღებაში. ბარბარეს აღზრდაში გარკვეული წვლილი მის აღმზრდელს და ლავარისას მიუძღვის, რომელიც ბავშვს ზღაპრებს, ლეგენდებს, წმინდა მამების ცხოვრებას უკითხავდა. ასწავლიდა ლოცვას. ბ. ჯორჯაძე იგონებს: „უწინდელ დროში თავდაზნაურობას საძნელოდ თურმე მიაჩნდა ქალის სასწავლებლად პანციონში მიცემა და ოჯახშივე ასწავლიდნენ საღმრთო-საერო წიგნებს“.<sup>5</sup>

ბარბარე ჯორჯაძე ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა გაათხოვეს. 12 წლის ასაკში ძალზე რთული ცხოვრება დაეკისრა. იგი თავის მეუღლითა და სამი შვილით სოფ. გრემში ცხოვრობდა. გრემის ნანგრევებმა, საქართველოს ისტორიის წარსულმა მწერალი ქალის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია (მან ლექსიც დაწერა „ნაქალაქევი“). ივ. კერესელიძე სიამოვნებით იგონებს იმ პერიოდს, როცა მას ბ. ჯორჯაძე გრემში მასპინძლობდა და „რაც რამ შესანიშნავი საგანი იყო ყველაფერი მაჩვენა“.<sup>6</sup>

ბ. ჯორჯაძეს რამდენჯერმე უნახავს კახეთის აოხრება, თვითონაც არაერთხელ გადაურჩა სიკვდილს. ერთხელ სახლიდან ხატები გაიტანა გადასარჩენად

და „როდესაც მოვბრუნდი შინ და ვნახე ჩემი სახლი დამწვარი და საცხოვრებელი შამილის ჯარისაგან გაზიდული, წარმოიდგინეთ რა რივად შევწუხდებოდი და როგორ შევიწროებულს მდგომარეობას მივეცემოდი“.<sup>7</sup> შამილთა დარბევის ამბავი მას აღწერილი აქვს თავის ნაწარმოებებში, სადაც ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ნანახსა და განცდილს.

ბ. ჯორჯაძის ოჯახმა ბევრი გაჭირვება გადაიტანა. ქონების ნაწილი „პრიკაზში“ დააგირავა და ბოლოს მამულებიც დაკარგა. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მისი მეუღლე, სამხედრო პირი ზაქარია ჯორჯაძე სამუშაოდ დადიოდა სხვადასხვა ქალაქში.

ბ. ჯორჯაძეს გაჭირვებამ აიძულა სოფელი მიეტოვებინა და თავის ქმართან ერთად მოხეტიალე ცხოვრება დაიწყო. იგი ერთხანს ლენქორანში ცხოვრობდა. მწერალს ძალიან უჭირდა სამშობლოსთან განშორება. ლექსში „ლენქორანი“ სევდამორეული პოეტი იხსენებს თავისი ქვეყნის წარსულს, ტრაგიკულ ისტორიას. ბ. ჯორჯაძის გუნება-განწყობას გადმოგვცემს მარიამ დემურია თავის „მოგონებაში“: „საცოდავს არ უყ-



ვარდა თათრების ქვეყანა და სულ იმას ნატრობდა, ღმერთო, ჩემი ძელები აქ არ დამატოვებინო. აქი ასრულდა კიდევ სურვილი ამ სამაგალითო ნამდვილის ქართველ ქალისა და თავის საყვარელ სამშობლოში აღსრულდა.<sup>8</sup>

იგი 1895 წელს ლენქორანში ვაჟთან მიმავალი, გზაში, ცივკომბორის ახლოს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ წარმოსთქვა: „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“ და სული განუტევა. დასაფლავებულია თელავში თავისი ძმის რაფიელ ერისთავის გვერდით.

ბარბარე ჯორჯაძეს არაერთმა ქართველმა მოღვაწემ, მათ შორის ეფემია ანდრონიკაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გიორგი თუმანიშვილმა და სხვებმა მიუძღვნა ლექსი თუ წერილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკის წერილი „რამდენიმე სიტყვა კნ. ბარბარე ჯორჯაძისა“, სადაც აკაკი ღირსეულ დედაკაცთა გუნდში ბ. ჯორჯაძეს განსაკუთრებით მოიხსენიებს (აკაკის ამ სტატიის გამო ბეთანელმა დაწერა წერილი „პოეტური გაკენწვლა“, სადაც გაკრიტიკებულია აღნიშნული წერილი და ბ. ჯორჯაძის შემოქმედება).<sup>9</sup>

ბ. ჯორჯაძის გარდაცვალებას გამოეხმაურა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები. ერთგან ვკითხულობთ: „კნ. ბარბარე ჯორჯაძისა ცნობილი მწერალი ქალი იყო და ნამდვილი წმინდა ქართული ენა ყველა მის ნაწერებში გამოსჭვიოდა“.<sup>10</sup> ზოგი იწონებდა მწერალი ქალის ენას, ზოგი კი მას სასტიკად აკრიტიკებდა.

ბარბარე ჯორჯაძე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ენის საკითხის ირგვლივ ამტყდარი კამათის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. მასში გამომახილი ჰპოვა მამათა და შვილთა ბრძოლამ. მას მამათა მხარე ეჭირა. როგორც ცნობილია ამ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა ილიას წერილმა „კოზლოვის შემოილის“ თარგმანზედ, რომელიც დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“. ილია და ახალი თაობა აქტიურად იბრძოდა ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის. მას არ აკმაყოფილებდა ანტონ კათალი-

კოსის არქაული ენა „რომელმაც ახალი სალიტერატურო ქართულს გზა გაუხსნა“<sup>11</sup> ლობა. მისი მიმდევრების ენა იყო ხელოვნური, რომელსაც მთავარ წყაროდ ჰქონდა სასულიერო ლიტერატურა, რიტორიკა და პათეტიკა სასულიერო ქადაგებისა.<sup>11</sup>

ილიას წერილმა დიდი აღმფრთვება გამოიწვია ძველი თაობის მოღვაწეთა შორის. განსაკუთრებული აქტიურობით კი ბ. ჯორჯაძე გამოირჩეოდა, მან ჟურნ. „ცისკარს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილები სათაურით „თ. ილია ქავეკავადის კრიტიკაზედ“ და „პასუხის პასუხი“. ბ. ჯორჯაძე ეკამათება რა ილიას, უწუნებს ხელოვნებისა და ენის თეორეტიკის არცოდნას. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ქალი ენის საკითხში ძველი კატეგორიების დამცველად გვევლინება, მან თავის დრამატურგიაში ხალხური სტილი აირჩია. როგორც ჩანს, პიესის წერის დროს მწერალმა მაყურებელთან საუბრის ენად უბრალო მეტყველების გამოყენება აუცილებლად მიიჩნია. ასე რომ არ ყოფილიყო, მისი პიესები ვერ შეძლებდნენ ქართული თეატრის რეპერტუარში დამკვიდრებას.

ბარბარე ჯორჯაძის დრამატურგიული მოღვაწეობა ემთხვევა ქართული თეატრის მძიმე პერიოდს. გ. ერისთავის თეატრის დაშლის შემდეგ ქართულ წარმოდგენებს სისტემატიური ხასიათი არ ჰქონდა. შემთხვევით გამართულ წარმოდგენებზე კი „ქართველი ხალხი დადიოდა თეატრში და ტაშს უკრავდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული წარმოდგენა იყო“.<sup>12</sup> გაზ. „დროება“ წერდა: „ეხლა ქართული სცენისმოყვარეულების წარმოდგენებს თავი უნდა დაეანებოთ და მუდმივი ტრუპის შედგენას შევეუდგეთ“.<sup>13</sup> ეს არის მუდმივი სცენისათვის საზოგადოებრივი აზრის შემზადების პროცესი. მუდმივ დასამდე გარდამავალი პერიოდი კი ნიკო ავალიშვილის სცენისმოყვარეთა წრე იყო.

ილიას, აკაკის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვათა თაოსნობით 1879 წელს 1 სექტემბერს მუდმივმა დასმა სეზონი გახსნა ბ. ჯორჯაძის პიესით „რას ვეძებდი



და რა ვიპოვე“, და რ. ერისთავის გადმოკეთებული ვოდველით „იპვიანი“. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი თარიღი ქართული თეატრის ისტორიაში დაკავშირებულია ბ. ჯორჯაძის სახელთან.

ამრიგად, ქართული პროფესიული თეატრის ისტორიის მეორე ეპოქაც კომედიური ენარის პიესით დაიწყო. ჩანს, იმდენად ძლიერი იყო გიორგი ერისთავის სკოლის გავლენა, ისე ადვილად იკვლევდა გზას კომედია მაყურებლისაკენ, რომ თეატრები მას დიდი ხალისით დგამდნენ. გ. ერისთავის თეატრისაგან განსხვავებით, ამჯერად უკვე სცენაზე იყვნენ კომედიური ენარის პროფესიონალი მსახიობები.

ბარბარე ჯორჯაძე ავტორია პიესებისა: კომედიები — „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“, „მკითხავი“, ვოდველი — „სარკით მოტყუება“, დრამა — „შური“ და ისტორიული დრამა — „მშვენიერი კაქელა“.

პიესა „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ დაიბეჭდა 1865 წელს ჟურნ. „ცისკარში“, სადაც ბ. ჯორჯაძემ პირველად აიღვა ფეხი, როგორც მწერალმა. კომედიაში გადმოცემულია თავად სიმირიძის უზნეო ხასიათი და ცხოვრება. თავადი იულონი ფულის შოვნის მიზნით არაფერს ერიდება და მდიდარი სომხის მახინჯ ქვრივს თხოულობს, მაგრამ ქვრივი ქალი უარს ეუბნება ქონების გაყოფაზე. თავადი იულონი გაცუცურაკებული და მოტყუებული რჩება. ავტორი სატირული სიმძაფრით დასცინის იულონის მოქმედებას, მაგრამ ეს არ არის ერთი პიროვნების მხილება. აქ უფრო ზოგადი პრობლემაა მთავარი. ეს არის თავად-აზნაურთა სულიერი დაცემისა და გადაგვარების საკითხი. თავადის ჩაცმულობაც კი მხილებულია და მკაცრი კრიტიკის ობიექტია.

„დაღლევილი ჩერქესკა და ჩითის ახალუხი“ კი გვარიანად ამცირებს თავადიშვილის ღირსებებს. იულონი „ბედის საძებნელად“ ქალაქს მიემგზავრება. სურს ახალი ტანისამოსის შეკერვა. იმედი აქვს, რომ როცა დროშკით აივლის და ჩაივლის, ვაჭრები დაინახავენ

და გაიგებენ ქვრივი ყოფილად, „დღემეში ხუთი მოციქული მომივა, ჩემი ქალიშვილი შეირთო... ეგებას ერთი მზითვიანი ქალი ვიშოვნო“.<sup>14</sup> ასეთია იულონის ზნეობრივი სახე. იულონი, რომელიც წლების მანძილზე უსაქმურად სხვისი ნაშრომით ცხოვრობდა, გასაჭირიდან ისევ იოლ გამოსავალს ეძებს. „ქალის შოვნით“ სურს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. მწერალი დასცინის რა თავის პერსონაჟს, ბოლომდე დასაღუპად მაინც ვერ იმეტებს და პიესის ფინალში იულონის დაკარგული ცოლის გამოჩენასა და რუსეთში წასული ვაჟის გამდიდრების ამბავს გვაუწყებს.

მაგრამ პიესის ფინალი მხატვრული ლოგიკიდან არ გამომდინარეობს და ამდენად ხელოვნურია. მწერალი მაინც იმედინად უყურებს თავად-აზნაურთა მომავალს, მისი მძაფრი კრიტიკაც ნაკლის გამოსწორების იმედით არის შთაგონებული.

ქართველი თავადების პარალელურად ავტორს პიესაში ნაჩვენები აქვს სომეხი ვაჭრების სოციალური მდგომარეობა. ამ პერიოდის მწერალთათვის თბილისელ სომეხ ვაჭართა თემა ერთ-ერთი გავრცელებული თემა იყო. მასზე წერდნენ დ. ერისთავი, ავქს. ცაგარელი, ზ. ანტონოვი, გ. სუნდუკიანი და სხვები. მათი პიესების პერსონაჟები — სომეხი ვაჭრები ცდილობდნენ ქართველ თავადიშვილებთან დამოყვრებას, რათა საზოგადოებაში თავიანთი მდგომარეობა აემალლებინათ (მაგ. გ. ერისთავის „გაყრაში“ მიკირტუმს არ მოსწონს თავისი წოდებრივი მდგომარეობა და დაჟინებით მიისწრაფის თავად დიდებულის ოჯახს დაუმოყვრდეს და თავადი ტრადადოვი გახდეს).

ბ. ჯორჯაძის პიესაშიც სომხის ქვრივი ოსანა მესანთლოვი ოცნებობს თავადის ცოლობაზე. მართალია მახინჯია, მაგრამ მდიდარია და შეიძლება „ქარაგდაც გასაღდეს“, კნენიცა გახდეს. პიესის ამგვარი სიუჟეტი ძალზედ ჰგავს ზ. ანტონოვის კომედიას „მე მინდა კნენა გავხდე“, სადაც სომხის ქვრივს ბარბარეს სურს ცოლად გაჰყვეს ქართველ თავად



ვადს, იმ მიზნით, რომ კნეინა გახდეს. ამგვარი სიუჟეტი ცხოვრების ხასიათის შედეგად არის წარმოქმნილი. ოსანა, მესანთლოვის ნუგეში, ისევე როგორც სხვა გაუთხოვარი ქალებისა — მაჭანკალია, რომელიც სოფელ-სოფელ დაიარება სარფიანი საქმის მოსაკვარაზუნებლად. ხშირად შეურაცხყოფასაც იტანს და პირში ჩალაგამოვლებული რჩება. ცბიერი, მოხერხებული მაქთალა ოსტატურად ატყუებს თავად იულონს. ჯერ ლამაზ ქალს უჩვენებს, შემდეგ გონჯს შეაჩჩეხებს ხელში.

მაჭანკალ მაქთალას სახე აქვს. ცაგარელის ხანუმას წინამორბედია, ხოლო თვით ტიბი დროის კარნახით არის შექმნილი. სცენაზე კი მაჭანკლის გამოჩენას, როგორც წესი, თან სდევს იუმორი, სიცილი, ოხუნჯობა. მაჭანკლის სახე ეფექტურია სცენისათვის და მსახიობისათვის მომგებიანი როლია.

ბ. ჯორჯაძე თავისი პიესებისთვის მასალას იმავე წყაროებიდან იღებდა, საიდანაც გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ავქს. ცაგარელი. ისინი ვინც გვგვდებიან ჯორჯაძის დრამატურგიაში (გლენები, ქართველი თავადები, სომეხი ვაჭრები) ბევრჯერ შევხვედრივართ ერისთავის, ანტონოვის, ცაგარელის პიესებში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მათი პერსონაჟები ჰგვანან ერთმანეთს. ვ. გუნია წერდა: „ბ. ჯორჯაძის კომედიაში მაჭანკალი მაქთალა ძლიერ წააგავს აქ. ცაგარელის ხანუმას. ასე რომ ზოგს დვიძლი დები ჰგონია. ალაგ-ალაგ რომ დაეკვირდეთ, ფრაზებიც, სიტყვებიც და ტირადებიც კი გვანან ერთმანეთს“.<sup>15</sup>

კომედია „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ ხშირად იდგმებოდა ქართულ თეატრში. ეს პიესა პირველ რიგში იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მან დასაბამი მისცა ახალ პროფესიულ თეატრს. ხოლო ბარბარე ჯორჯაძემ, როგორც დრამატურგმა არსებითად ამ პიესით გაითქვა სახელი.

1879 წლის 1 სექტემბრის წარმოდგენაზე ს. მესხი ვაზ. „დროებაში“ წერდა: „პირველად ქართულმა სამულამო ტრუპამ გახსნა წელს წარმოდგენების

სეზონი და სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ კარგად გახსნა... ეს იყო პირველი დებიუტი ახლად შემდგარი ტრუპისა, როგორც ტრუპისა და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ტრუპას შეუძლიან თამაში, უფრო სერიოზული პიესებისაც“.<sup>16</sup> წერილიდან ირკვევა, რომ „მულმივი“ დასი ცხრა კაცისაგან შედგებოდა და მხოლოდ ექვსი იყო პირველ წარმოდგენაში დაკავებული. მსახიობებმა ისე ითამაშეს, რომ „ტრუპა არცერთს არ შეურაცხენია“. კ. მესხი რეცენზიაში გამოჰყოფს ვასო აბაშიძისა და ნატო გაბუნის თამაშს: „მე არ მინახავს, რომ ჩვენს სცენაზე სხვა ვისმე წარმოედგინოს ისე ხელოვნურად სირაჯის ანუ საზოგადოდ წვრილი სომხის კინტოს ვაჭრის როლი, როგორც უფ. აბაშიძემ წარმოადგინა“. ნატო გაბუნია სპექტაკლში მაჭანკლის როლს ანსახიერებდა „დაოსტატებული ამ ამბულაში“. ს. მესხი ასევე აქვებს პიესას და თვლის, რომ „მშვენიერი ენითა და შინაარსით დაწერილი ეს პიესა სცენის მხრითაც ის არც ერთ ჩვენ გ. ერისთავის დროინდელ პიესებს არ ჩამოუვარდება უკან და ზოგიერთს მათგანს ბევრითაც სჯობიან“. თუმცა ზოგიერთებში რომელ პიესებს გულისხმობს ავტორი გაუგებარია.

ამავე წლის მომდევნო ნომრებში ვაზ. „დროება“ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ სპექტაკლს სათაურით „ქართული თეატრი“. რეცენზენტი აქვებს ავტორს და დასძენს: „კნ. ჯორჯაძის კომედია ერთ საუკეთესო ორიგინალურ კომედიათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურაში“.<sup>17</sup> თუმცა რეცენზენტი არ გამოთქვამს აღფრთოვანებას პიესის შინაარსის გამო, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამ შინაარსისა, ბ. ჯორჯაძის ნიჭს „აქედან ჩინებული სასცენო მშვენიერის ენით დაწერილი კომედია გამოუყვანია“.<sup>18</sup>

ეს პიესა რამდენჯერმე იქნა წარმოდგენილი სხვადასხვა წელს. 1880 წლის დადგმას კვლავ გამოეხმაურა ვაზეთი „დროება“.<sup>19</sup> რეცენზენტი აღფრთოვანებულია მხოლოდ ვასო აბაშიძისა და



ნ. გაბუნიას თამაშით, დანარჩენი მსახიობები კი „ბევრით ვერაფრით გამოირჩეოდნენ“... „პიესაც არ იყო უხეირო“ — ასევენი ავტორი. თუმცა ყოველთვის როდი აქებდნენ პიესის ავტორს. გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიაში რეცენზენტი თხოვნით მიმართავს თეატრის გამგეობას, რომ „იშვიათად შეაწუხონ ხოლმე ეს პიესა“.<sup>20</sup> ამ წარმოდგენის წარმატებას კი რეცენზენტი მთლიანად მსახიობთა შესრულებას უმაღლის, რადგან ვ. აბაშიძე და ნ. გაბუნია „უშარილო პიესასაც ისე გამოაკეთებენ, ისე მარილიანად ითამაშებენ, რომ ერთბაშად სიამოვნებას მოჰფენენ მთელს თეატრს“... „ვასო აბაშიძემ კი თავისი თამაშით ავტორსაც გაუსწრო და სწორედ ამით დიდად დაავალა კიდეც ავტორს, თორემ არც ჩლავი იქნებოდა და არც ფლავი“.<sup>21</sup>

დამოწმებული რეცენზიებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1. ბ. ჯორჯაძე დრამატურგიაში გაემიჯნა თავის ძველ არქაულ ქართულს. მოწონებულია მისი ენა. იმ დროს, როცა ქართული ენის შენახვა თეატრის ერთ-ერთი უპირველესი მისია იყო, ამ ისტორიულ პროცესში თავისი ღირსეული წვლილი შეჰქონდა ბ. ჯორჯაძის პიესებს. 2. ნ. გაბუნიას მაჰანკალი იყო, როგორც ერთგვარი წინამორბედი საფეხური ხანუმას სახის შესაქმნელად. 3. იმდენად ამაღლდა სამსახიობო ხელოვნება, რომ აქვე დგება მხატვრული სახის ინტერპრეტაციის პრობლემა.

ბ. ჯორჯაძის, როგორც დრამატურგის დებიუტი შედგა პიესაში „შური“, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნ. „ცისკარში“. პიესის სიუჟეტი მოკლედ ასეთია: თავადი ვახტანგ ზარიბძე, რომელმაც მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ქონება, ბედნიერად ცხოვრობს თავის ქალიშვილ სოფიოსთან ერთად. მათ სახლში იზრდება უპატრონო სიღონია, რომელსაც თავადი ვახტანგი შვილივით ზრდის, მაგრამ სიღონია მადლობის მაგიერ ბოროტებას ჩაიდენს, როცა შეიტყობს სო-

ფიოსა და ლევანის სასიყვარულო ამბავს. ლევანის შესანარჩუნებლად, წყვეტს თავიდან მოიშოროს სოფიო და წყალში გადაადგებს. როცა ფიქრობს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ლევანიც და ქონებაც მას დარჩება, ამ დროს სოფიოც გამოჩნდება და გამოაშკარავდება სიღონიის ბოროტმოქმედებაც. მწერალმა სიღონია სულმდაბალ, უმადურ ადამიანად გამოიყვანა. მას დაუპირისპირა თავადის ასული სოფიო — კეთილშობილების განსახიერება, რომელმაც დასავით შეიყვარა დაუცავი სიღონია. სიკეთესა და ბოროტებას შორის ჭიდილში სიკეთემ გაიმარჯვა.

პიესაში ძალზე საინტერესოა წარმოდგენილი ბატონისა და ყმის ურთიერთობა. მებატონე ზარიბძე ყმების მოყვარული და მათზე მზრუნველია, ხოლო ყმები თავის მხრივ ბატონის მადლიერნი (ზარიბძეს სურს გლეხი თავის მიწიანად გაანთავისულოს, სწუხს თავისი ყმის ავადმყოფობის გამო). მათ ურთიერთობაში აშკარად ჩანს, ავტორის სიმპათიები მებატონეთა მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობები პიესაში ძალზედ არაღმარაგებლად და ხელოვნურადაა წარმოდგენილი. ის სრულიად ვერ ასახავს ბატონისა და ყმის ურთიერთობას საგლეხო რეფორმის გატარების წინა პერიოდში. 1860 წელს ილია ჭავჭავაძემ დაწერა პოემა „კაკო ყაჩაღი“, სადაც მხატვრული ხერხებით ნაჩვენებია ბატონყმური ურთიერთობების ტრაგიკული ისტორიული სიმართლე. პოემის დაწერიდან სამ წელიწადში (ბ. ჯორჯაძის პიესის დაწერამდე) არსებითად ხომ არაფერი შეცვლილა!..

პიესაში საინტერესო ეპიზოდია ვახტანგ ზარიბძისა და მისი მეგობრის თავად ზაალის დიალოგი. ისინი ახალი დროით უკმაყოფილონი ძველ დროს შენატრიან. მათ საუბარში, ახალისა და ძველი დროების დაპირისპირებაში, კარგად ვლინდება მწერლის პოზიცია, მისი მსოფლმხედველობა. მეგობრები ერთმანეთს შესჩივიან, რომ თანამედროვე ცხოვრებამ დაკარგა „მეგობრუ-



ლი სიყვარული. შეურყენელი სინდისი და მტკიცე სარწმუნოება“. ვახტანგი კატეგორიული წინააღმდეგია ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლისა, რომლებიც „ფიქრით თავს იჭლევენ. რაც ევროპაში გვინახავს, რატომ ის ცხოვრება არა გვაქვსო. აბა, ჩვენ სიმდიდრით სად დავედარებით იმათ. ევროპიელების მიბაძვა რას გამოგვადგება, დავიღუპებით“.<sup>22</sup> ზაალს კი არ მოსწონს, როცა ახალგაზრდა ფულის უქონლობის გამო მამა-პაპისეულ თოფ-იარაღს აგირავენ და კარგავს. „უწინ ჩვენგანს ფული რომ გაუჭირდებოდა, მაშინვე ნათესავი ან მეგობარი სიამოვნებით ხელს გაგვიმართამდა“.

ძველის პატივისცემას ასწავლის ვახტანგი თავის ქალიშვილს — სოფიოს, ახალი თაობის წარმომადგენელს. მეგობრების საუბარი ნოსტალგიაა წარსულზე. ბ. ჯორჯაძეც მთელი თავისი მრწამსით ძველი დროების მოტრფილედ და მისი აქტიური დამცველი იყო. მას უჭირდა ახალთან შეგუება. ამის შესახებ გულისტკივილით წერდა: „ნათლად ვხედავთ, წარსულა, განმქრალა, ფერფლიც აღარ იბოვება ძველის ყოფაქცევისა, მათ წინაპართა თანავე დაგვიკარგავს, ცარიელი სურვილია მოგონებისა ჩვენს სამწუხაროდ“.<sup>23</sup>

პიესა „შური“ 1862 წელს 17 თებერვალს წარმოადგინეს სცენისმოყვარეებმა სახაზინო თეატრში საქველმოქმედო მიზნით. ამასთან დაკავშირებით გაზ. „ცისკარი“ იუწყებოდა: „ამ ჩვენმა მწერალმა ქალმა ჩვენს ლიტერატურას აჩუქა მახვილგონივრულად დაწერილი დრამა, სადაც გამოყვანილია ყოველი ჩვეულება ახლანდელი საუკუნისა“.<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ ამ პიესაში ქალების როლს თამაშობდნენ მამაკაცები თ. მახაბელი და უფ. სარქისიძე, რომლებიც „ქალებში ძნელად გასარჩენი იყვნენ“. ეს ის პერიოდია, როცა ქალები ვერ ბედავდნენ სცენაზე გამოსვლას და „ყველა სირცხვილზედა სდებდა თავს“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. არ ცხრებოდა ტაშისკვრა და აჟიოტაჟი მწერლის მისამართით და ლოჯაში მჯდომი

ავტორი „სანამ არ წამოდგა დაჰყრდნულ დაუხადა მადლობა თავის დაჰქრულს, მსკჳს გაწყვეტილა ტაშისკვრა და ძახილი“. ამ მწირი ინფორმაციის მიხედვით ძნელი მსჯელობა საერთოდ სპექტაკლის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ მას მაყურებლის მოწონება დაუმსახურებია.

1881 წელს ქუთაისში სცენისმოყვარეთა მიერ განხორციელდა ბ. ჯორჯაძის ისტორიული დრამა „მშვენიერი კეკელა“, რომელიც ავტორმა თავის ძმას რაფიელ ერისთავს უძღვნა. არსებობს პიესის რამდენიმე ვარიანტი. დრამის სიუჟეტი ავტორს ლეგენდებიდან უსესხებია. აქ მე-18 საუკუნის ისტორიული მომენტებია ასახული, პარალელურად კი გარსევანისა და კეკელას სასიყვარულო ამბავი. გარსევანი ქვეყნის თავისუფლებას ეწირება; კეკელა კი ირანელებს შაჰთან მიჰყავთ. პიესაში ზოგიერთი ეპიზოდი დამაჩერებლობას მოკლებულია — (მაგ. გარსევანის მიერ კეკელას გამოხსნა, კეკელას გამოშვება შაჰის ნებით, ყოხილბაშების შემოსევა და სხვა), ამიტომაც გაზ. „შრომაში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში ავტორმა პიესის შინაარსი დაიწუნა. რადგანაც დრამაში არ იგრძნობოდა ისტორიული ფაქტების ცოდნა, ის, რომ „სულთანსა და ყაენს ძველად ჩვენის მეფეებისა და თავადების ქალები მიჰყავდათ, საკმაო არ უნდა ყოფილიყო დრამის შესადგენად“.<sup>25</sup> შენიშვნა პრინციპული ხასიათისაა. ისტორიული დრამების შესახებ ცნობილია ილიის მკაცრი წერილი „ახალი დრამების გამო“, სადაც ილია მოუწოდებს დრამის დამწერ ავტორებს ისტორიის ღრმა ცოდნას, გონება გახსნილობას, დიდ სიფრთხილეს, რადგან ჩვენს ისტორიულ წარსულზე არასწორ შეხედულებათა სცენიური პროპაგანდა დიდ სახიფათო იყო.

მიუხედავად პიესის სუსტი მხარეებისა, ის მაინც შესაძლოა ჩაითვალოს ერთგვარ წინამორბედადაც დრამის თეატრის განვითარებაში. ეს პიესა 1880 წელს დაიწერა, სწორედ მაშინ, როცა ეს ჟანრი ფეხს იკიდებდა ქართულ თე-

ატრში. დ. ერისთავის „სამშობლო“ კი 1882 წელს დაიდგა.

ბ. ჯორჯაძის „მკითხავის“ დადგმა 1877 წელს განუზრახავთ თელაველ ახალგაზრდებს. „მკითხავში“ ავტორმა ნამდვილი ამბავი გამოიყენა. მკითხაობა საქართველოში, განსაკუთრებით სოფლებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პროფესია იყო, როგორც მაქანკობა. პიესის მთავარი პერსონაჟი მკითხავი თინა, რომელმაც ეკონომიური გაჭირვებიდან გამოსავლის არასწორი გზა აირჩია. ის ატყუებს სოფელს, ცრურწმენას აყოლილ ხალხს კი სჯერა მისი. პიესის ფინალში მწერალი ამხელს მას და სააშკაროზე გამოაქვს მისი ფარისევლური ბუნება.

ამ პიესის დადგმის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ კ. ყიფიანს გაზ. „დროების“<sup>26</sup> ფურცლებზე გამოუქვეყნებია ქართული თეატრის რეპერტუარის სია, სადაც „მკითხავიც“ იყო შეტანილი. თუმცა ზუსტად სად და როდის დაიდგა, ამის შესახებ მასალები არ მოიპოვება. ასევე არაფერი ვიცით ვოდევინ „სარკით მოტყუების“ დადგმის შესახებ. პიესაში ასახულია ჩარჩ-ვაჭრების თემა. მწერალი უარყოფით და მოკიდებულებას ავლენს მათი ეგოისტური მიზნებისადმი. „პიესაში საინტერესოდაა გამოხატული ჩარჩ-ვაჭრის ასატურას პორტრეტი. ამით ერთი კიდევ ემატება იმ პორტრეტებს, რომლებიც ადრე დაგვისურათა გ. ერისთავმა და ზ. ანტონოვიმა“.<sup>27</sup>

ბ. ჯორჯაძე არ ყოფილა წამყვანი ფიგურა ქართულ დრამატულ მწერლობაში. იგი ხშირად კრიტიკის ობიექტიც იყო, მაგრამ მიუხედავად მისი შემოქმედების ნაკლოვანი მხარეებისა, რასაც აღნიშნავდნენ კიდევ იმ პერიოდის თეატრალური მოღვაწენი (ს. მესხი, ვ. გუნია, დ. ერისთავი და სხვები) მაინც მხარს უჭერდნენ მისი პიესების დადგმას ქართულ სცენაზე, სადაც კიდევ ერთხელ გამობრწყინდნენ ქართული სცენის დიდოსტატები ვასო აბაშიძე, მაცო საფაროვა, ნატო გაბუნია და სხვები.

შენიშვნები:

1. გაზ. „ივერია“, 1889, № 63.
2. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 703.
3. აქ. წერეთელი, „გახსენება“, ქურონ. „ქვალი“, 1893, № 14.
4. გაზ. „ივერია“, 1889, № 63, 23 მარტი.
5. ქ. ირემიძე. ქურონ. „მნათობი“, 1945, № 5.
6. ქურონ. „ცისკარი“, 1861, № 1.
7. ბ. ჯორჯაძე. რჩეული თხზულებანი. თბ., 1988, გვ. 125.
8. მ. დემურია. „მოგონებანი“, გაზ. „ივერია“, 1895, № 77.
9. გაზ. „დროება“, 1868, № 12.
10. გაზ. „ივერია“, 1895, № 77.
11. შ. რადიანი. ახალი ქართული ლიტერატურა (წიგნი პირველი). თბ., 1952, გვ. 280.
12. აქვ. ცაგარელი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, ფედერაცია, 1936, გვ. 10.
13. იქვე.
14. ბ. ჯორჯაძე. რჩეული თხზულებანი, თბ., 1988, გვ. 212.
15. ვ. გუნია. გამ. ხელოვნება, თბ., 1953, წიგნი II, გვ. 114.
16. გაზ. „დროება“, 1879, № 182, 4 ენკენის-თვე.
17. გაზ. „დროება“, 1879, № 250.
18. იქვე.
19. გაზ. „დროება“, 1880, № 217.
20. გაზ. „ივერია“, 1886, № 228.
21. იქვე.
22. ბ. ჯორჯაძე. რჩეული თხზულებანი, თბ., 1988, გვ. 157.
23. ბ. ჯორჯაძე. რჩეული თხზულებანი, გვ. 121.
24. ცისკარი, № 1862, № 2.
25. გაზ. „შრომა“, 1881, № 16.
26. გაზ. „დროება“, 1876, № 22.
27. ამბერკი გაჩეჩილაძე. ნარკვევები XIX ს.-ის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან. 1957. გვ. 303.